კომპანია ჯაოკენი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კომპანია ჯაოკენი ჯგუფი

სარჩევი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-4
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:	
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	9-30
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში	30-33

კომპანია ჯაოკენი ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს „კომპანია ჯაოკენის“ და მისი შვილობილების (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (,,ფასს”) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 21 ოქტომბერს.

დირექტორი, ჯემალ ჯაოშვილი _____

2022 წლის 21 ოქტომბერი, საქართველო, თბილისი

ALGI AUDIT

შპს "ალგი აუდიტი"
თბილისი,ი.აბაშიძის ქ.42
თბილისი, 0179, საქართველო
ტელ: +995 599 708 338

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კომპანია ჯაოკენი ჯგუფის მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ კომპანია ჯაოკენის (შემდგომში „კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფის") თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, კონსოლიდირებული მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის. ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას (ერთობლივად „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება").

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი" ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2022 წლის 1 აგვისტოს და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებით ვერ დავრწმუნდით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 26,253 ათასი ლარის ღირებულებებით. ვინაიდან მარაგების საწყისი და საბოლოო ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი" (პბეკ კოდექსი). შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა სხვა ეთიკურ მოთხოვნებს პბეკ კოდექსის სტანდარტებით. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე ჩვენს აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე სხვა ინფორმაციას არ მოიცავს და მასზე რაიმე სახის თვალსაზრისს არ გამოვხატავთ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებულ ინფორმაციასთან არსებითად შეუსაბამო ან სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება:

- შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- სრულად მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება იმ ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონით.
- თანხვდენილია თუ არა, მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა ვალდებულია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფასს-ების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებად საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან, უზედამხედველონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმუნება, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე მოსაზრების გამოთქმის განზრახვას;

- ვაფასებთ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადისაწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარიგააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „ალგი აუდიტის” სახელით

კახაბერ თეთრუაშვილი

2022 წლის 21 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	5	35,675	30,246
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(22,822)	(19,610)
მთლიანი შემოსავალი		**12,854**	**10,636**
მიწოდების ხარჯები	6	(4,888)	(3,697)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,121)	(1,553)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	8	1,734	(4,365)
საპროცენტო შემოსავალი		529	516
საპროცენტო ხარჯი		(1,085)	(888)
სხვა ხარჯი, წმინდა	9	9,529	5,854
მოგება მოგების გადასახადებამდე		**16,551**	**6,503**
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		**16,551**	**6,503**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		**16,551**	**6,503**
შემოსავალი განკუთვნილი მესაკუთრისთვის		**16,550**	**6,508**
შემოსავალი არამაკონტროლებელი წილის მესაკუთრისთვის		**1**	**(5)**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 21 ოქტომბერს

_____

ჯემალ ჯაოშვილი
დირექტორი

9-30 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	29,251	10,817
არამატერიალური აქტივები		15	16
სულ გრძელვადიანი აქტივები		**29,266**	**10,833**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	26,253	37,190
გაცემული სესხები	12	5,883	5,920
საგადასახადო აქტივები		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,443	1,223
ფული და ფულის ექვივალენტები	14	3,200	535
სულ მიმდინარე აქტივები		**37,778**	**44,868**
სულ აქტივები		**67,045**	**55,701**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	198	3
გაუნაწილებელი მოგება		44,913	31,832
არამაკონტროლებელი წილი		(40)	(29)
სულ კაპიტალი		**45,071**	**31,806**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	13,475	17,557
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**13,475**	**17,557**
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	16	2,590	2,922
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	4,928	3,054
საგადასახადო ვალდებულებები		981	362
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**8,499**	**6,338**
სულ ვალდებულებები		**21,973**	**23,895**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**67,045**	**55,701**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 21 ოქტომბერს

_____

ჯემალ ჯაოშვილი
დირექტორი

9-30 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	საწესდებო კაპირალი	მფლობელებისთვის განკუთვნილი კაპიტალი	არამაკონტრო-ლირებელი წილი	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2020	**3**	**28,229**	**(6)**	**28,226**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	6,508	(5)	6,503
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,905)	(18)	(2,923)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	**3**	**31,832**	**(29)**	**31,806**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	195	-	-	195
სულ წლის სრული შემოსავალი	-	16,550	1	16,551
გამოცხადებული დივიდენდი	-	(3,469)	(13)	(3,482)
ბალანსი 31 დეკემბერ 2021	**198**	**44,913**	**(41)**	**45,071**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 21 ოქტომბერს

_____

ჯემალ ჯაოშვილი
დირექტორი

9-30 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერსდასრულებულიწლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2021	2020
მოგება მოგების გადასახადამდე		**16,551**	**6,503**
კორექტირებები:			
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი		62	45
მარაგების გაუფასურების რეზერვის ხარჯი		(1,562)	162
ცვეთა და ამორტიზაცია		292	597
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		-	(5,997)
საპროცენტო ხარჯი		1,085	888
საპროცენტო შემოსავალი		(529)	(517)
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	8	(1,734)	4,365
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**14,165**	**6,046**
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)		(1,429)	(147)
მარაგების ზრდა		12,498	(10,108)
საგადასახადო აქტივების ზრდა		619	906
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		2,042	(1,838)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		**27,895**	**(5,141)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების ზრდა/(შემცირება)		(18,725)	6,167
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(18,725)**	**6,167**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა		-	(298)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა		-	(18)
მიღებული სესხები		4,386	16,370
გადახდილი სესხები		(6,024)	(13,415)
გადახდილი პროცენტი		(1,085)	(851)
მიღებული პროცენტი		734	350
გადახდილი დივიდენდი		(3,482)	(2,923)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(5,471)**	**(785)**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		2,711	241
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	535	338
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ნაღდი ფულის ნაშთზე		(46)	(44)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**3,200**	**535**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 21 ოქტომბერს

_____

ჯემალ ჯაოშვილი
დირექტორი

9-30 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "კომპანი ჯაოკენი" დაფუძნდა 1997 წლის 2 ოქტომბერს. მისი რეგისტრირებული იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თორნიკე ერისთავის ქ., №1

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა საცალო და საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალებით, ასევე, სანტექნიკით, მოწყობილობებითა და სხვა აქსესუარებით.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50%-ანი ბენეფიციარი მესაკუთრე იყო იოსებ ჯაოშვილი (პირადი ნომერი 01023001564) და 50%-ანი ბენეფიციარი მესაკუთრე - ჯემალ ჯაოშვილი (პირადი ნომერი 01023001565).

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით ჯგუფში დასაქმებული იყო 161 და 179 ადამიანი.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ ძირითად შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	2021 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	2020 წლის 31 დეკემბერი, მფლობელობა	დაარსების წელი	ინდუსტრია
შპს გ.ს.გ. დიზაინი	75%	75%	2015	სამშენებლო მასალებით ვაჭრობა

2. ახალი სტანდარტების ,ინტერპრეტაციების და შესწორებების მიღება:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში. ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება საზოგადოდ ეფუძნება საქონლისა და მომსახურებების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ქვემოთ წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი სახეობები. პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფი არის ფუნქციონირებადი საწარმო და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი"), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით შეფასებული გამჟღავნების მიზნებისთვის წარმოდგენილი გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების შეფასებისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჟღავნების მიზნებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება რეალური ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე.

ჯგუფი მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ. როდესაც ჯგუფი არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. ჯგუფი განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- ჯგუფის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;

- კომპანიის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ჯგუფს აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გათავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც ჯგუფმა დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. ჯგუფის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება ჯგუფის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან.

ყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

ფუნქციონალური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ელემენტები აღრიცხულია ჯგუფის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების სავარაუდო ღირებულება.

საქონლის რეალიზაცია

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება საქონლის მიწოდებისა და მასზე უფლებების გადაცემის შემდეგ, ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფი აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება ჯგუფი; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.
ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ლარი /1 აშშ დოლარი	3.0976	3.2766
ლარი /1 ევრო	3.5040	4.0233

გადასახადები

მოგების გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით განაწილდებოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი კომპანიისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ჯგუფში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, ჯგუფმა შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა ან/და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და ხდება ჩანაცვლებული ნაწილების თავიდან მოშორება. შემდგომი ხარჯები კაპიტალიზდება თუკი ხარჯებიდან წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებელი. შეკეთება-შენარჩუნების უმნიშვნელო ღირებულება აღიარდება ხარჯებში მათი გაწევის დროს.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არის თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა ახორციელებს აღდგენის თანხის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც განსაზღვრულია როგორც აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ხარჯები და გამოყენების ღირებულებას შორის უფრო მაღალი. საბალანსო ღირებულება აღდგენად ღირებულებამდე მცირდება, ხოლო გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება. წინა წლებში აქტივზე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღდგება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას აქტივის გამოყენებული ღირებულების ან სამართლიანი ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობის გაანგარიშებაში.

რეალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულების ცვლილების შედარებიდან გამომდინარე და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და სხვა სრულ შემოსავლებში სხვა საოპერაციო შემოსავალსა და ხარჯების ჯგუფში.

საწარმოო, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნით მშენებარე უძრავი ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების აღიარებული ზარალის გამოკლებით. თვითღირებულებაში შედის პროფესიული ჰონორარები, ხოლო კვალიფიციური აქტივებისათვის - ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებული სესხის აღების ხარჯები. ამგვარი უძრავი ქონება ძირითადი საშუალების შესაბამის კატეგორიად კლასიფიცირდება დასრულებისა და გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ.

ამ აქტივების ცვეთა, სხვა უძრავი აქტივების მსგავსად, იწყება მათი გამიზნული მოხმარებისათვის გამზადების შემდეგ.

მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა ნივთებზე ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
საოფისე ტექნიკა	5 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5წელი

როდესაც ძირითადი საშუალების აღიარება უქმდება რეალიზაციისას ან მაშინ, როდესაც ამ აქტივის მოხმარებით ეკონომიკური სარგებლის მიღება ნავარაუდევი აღარაა. ნებისმიერი მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციის ან ჩამოწერის შედეგად განისაზღვრება როგორც სხვაობა რეალიზაციით მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. მარაგების ღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას. მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: მოგებაში-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები, დაფარვამდე ფლობილი ინვესტიციები, სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები და სესხები და მოთხოვნები. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ჯგუფის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, გაცემული სესხები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც სესხები და მოთხოვნები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ტრანზაქციის ხარჯების, სხვა პრემიუმებისა და ფასდათმობების და იმ გადახდილი ან მისაღები

საკომისიოებისა და ქულების დისკონტირებას, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის, ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისგან განსხვავებული სავალო ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოგება აღიარდება ეფექტური პროცენტის საფუძველზე.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ კვოტირდება აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები (მათ შორის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ბალანსები ბანკებში და ნაღდი ფული) აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ეხება მოკლევადიან მოთხოვნებს, სადაც დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ყველა სავალო ინსტრუმენტზე. მსზ ეფუძნება სხვაობას კონტრაქტის თანახმად მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს ფლობილი უზრუნველყოფის თუ კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებული სხვა კრედიტის გამაძლიერებლების გაყიდვით მიღებულ ფულად ნაკადებს.

მსზ-ის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი რისკის პოზიციების შემთხვევაში, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსზ აღიარდება ისეთი საკრედიტო ზარალისათვის, რომლებიც მომდევნო 12-თვიან პერიოდში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით არის გამოწვეული (12-თვიანი მსზ). ისეთი რისკის პოზიციების შემთხვევაში, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი ჰქონდა, მსზ აღიარდება ისეთი საკრედიტო ზარალისათვის, რომლებიც რისკის პოზიციის მთლიანი არსებობის მანძილზე შესაძლო დეფოლტის მოვლენებით არის გამოწვეული (მსზ არსებობის მანძილზე). ჯგუფი 12-თვიან მსზ-ს აღიარებს ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში.

სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსზ-ის გამოსათვლელად გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას და ამის ნაცვლად ზარალის თითოეულ საანგარიშგებო თარიღში რეზერვს აღიარებს არსებობის მანძილზე მსზ-ის საფუძველზე. ჯგუფი აქვს რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებას ეფუძნება და კორექტირდება ფორვარდული, მსესხებელთა და ეკონომიკური გარემოსათვის სპეციფიური ფაქტორებით.

მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ საწყისი აღიარების შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა ზედმეტ ხარჯსა და ძალისხმევას მოითხოვს. ჯგუფმა განსაზღვრა სრული მსზ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსზ, რომელიც მიიღებოდა ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის მთელი ციკლის განმავლობაში (მე-2 და მე-3 ეტაპები). დეფოლტის ალბათობის დასადგენად ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიღებულ ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. მსზ-ის ოდენობა სხვა მოთხოვნებზე გამოითვლება ექსპერტის შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების

გამოყენებით. საექსპერტო შეფასების აუცილებლობა მართებულად ჩაითვალა ისეთი ისტორიული ინფორმაციის არარასებობის გამო, რაც საშუალებას მისცემდა ჯგუფს, შეექმნა რეზერვირების მატრიცა. გაუფასურების განაკვეთები პერიოდის მოთხოვნის ნაშთზე მრავლდება და მიიღება ის თანხა, რომლის ამოღება, ჯგუფის აზრით, შეუძლებელია - ანუ ამოუღებადია.

ყველა შემთხვევაში, ჯგუფი თვლის, რომ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი ჰქონდა სახელშეკრულებო გადახდების 30 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფის ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ ჯგუფმა მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, ჯგუფი აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ ჯგუფმა შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტისას, სხვაობა, ერთი მხრივ, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი კუმულატიური მოგებისა ან ზარალისა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტისას (მაგალითად, როდესაც ჯგუფი ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), ჯგუფი ფინანსური აქტივის წინა საბალანსო ღირებულებას ანაწილებს კვლავაც აღიარებულ ნაწილსა და აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილს შორის გადაცემის დღეს ამ ნაწილების ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების გათვალისწინებით. სხვაობა, ერთი მხრივ, აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და, მეორე მხრივ, ამავე ნაწილში მიღებული ანაზღაურებისა და მასზე მიკუთვნებულ, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ კუმულატიური მოგებასა თუ ზარალის ჯამს შორის, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულატიური მოგება ან ზარალი აღიარება შენარჩუნებულ და აღიარების გარეშე დარჩენილ ნაწილებს შორის ნაწილდება მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების გათვალისწინებით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად

ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთრ კაპიტალში. ჯგუფის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები, ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა გადასახდელების ჩათვლით, თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით. შემდგომში ისინი აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარება-შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარები

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა ორივე შემდეგი უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულება ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადასახდელები გაიანგარიშება იმ მოცულობით, რამდენადაც ისინი დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის არსებული ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადასახდელები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, ასევე მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო

ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტის განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით. იჯარის მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება აღირიცხება შემდეგნაირად:

- მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო. მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან;
- კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებულს), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული საშუალო სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადასახდელების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ამგვარი უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიანი პრაქტიკის განიხილავს ხელშეკრულების

შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადასახდელები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიან იჯარა და იჯარის, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით, გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

4. კრიტიკული შეფასებები და შეფასებების განუსაზღვრელობის უმთავრესი წყაროები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში #3, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. რეალური შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

შეფასებათა განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

ქვემოთ ჩამოთვლილია მომავალთან დაკავშირებული ის ძირითადი დაშვებები და შეფასებათა განუსაზღვრელობის სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლებსაც პოტენციურად შეუძლია აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირების გამოწვევა მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების ვადა

ძირითადი საშუალების ერთეულის სასარგებლო მოხმარების ვადა დგინდება ხელმძღვანელობის შეფასებით და ეფუძნება მსგავს აქტივებზე არსებულ გამოცდილებას. მხედველობაში მიიღება მოსალოდნელი გამოყენების ფორმა, მოსალოდნელი ტექნიკური დაძველება, ფიზიკური ცვეთა და ოპერირების ფიზიკური გარემო. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებას ინდივიდუალური კლიენტისგან მოთხოვნის ამოღების ალბათობასთან. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, გადახდების დეფოლტი ან გადახდისუუნარობა იმის მაჩვენებლებია, რომ მოთოვნა პოტენციურად გაუფასურებულია. თუ კლიენტის საკრედიტო ხარისხი გაუარესდა ან რეალური დეფოლტი უფრო მაღალია შეფასებულ ოდენობაზე, რეალური შედეგები შეფასებულისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა დიდწილად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე სამი კალენდარული წლის ტოლი ფისკალური პერიოდები. გარკვეულ ვითარებაში, შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო დიდი პერიოდიც. საგადასახადო ორგანოებმა ჯგუფი შეამოწმეს 2012-2015 წლები. თუმცა, ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული

აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება, ზემოაღნიშნულს შეუძლია ჯგუფისთვის დამატებითი ფინანსური რისკების შექმნა.

5. შემოსავალი

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის შემოსავალი მოიცავდა:

შემოსავლები	**2021**	**2020**
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	35,675	30,246
სხვა შემოსავალი	-	-
სულ	**35,675**	**30,246**

6. მიწოდების ხარჯები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მიწოდების ხარჯები მოიცავდა:

მიწოდების ხარჯები	**2021**	**2020**
ხელფასის ხარჯი	2,354	2,354
იჯარის ხარჯი	1,383	430
კომუნალური ხარჯი	214	131
ცვეთა და ამორიზაცია	-	418
სხვა	938	364
სულ	**4,888**	**3,697**

7. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**2021**	**2020**
ხელფასის ხარჯი	1,036	620
ცვეთა და ამორიზაცია	292	179
საბანკო ხარჯი	246	159
მივლინების ხარჯი	44	41
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	503	554
სულ	**2,121**	**1,553**

8. მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის წმინდა (ზარალი)/მოგება კურსთაშორისი სხაობიდან მოიცავდა:

საკურსო სხვაოები	**2021**	**2020**
დადებითი საკურსო სხვაობები	4,465	875
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(2,731)	(5,240)
სულ	**1,734**	**(4,365)**

9. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა მოიცავდა:

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	**2021**	**2020**
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	7,662	5,997
უმოძრაო მარაგების რეზერვის ზრდა/(შემცირება)	1,562	(162)
სხვა შემოსავლები და ხარჯები	305	19
სულ	**9,529**	**5,854**

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობი	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ტექნიკა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2019	**9,448**	**65**	**2,115**	**152**	**387**	**1,361**	**13,528**
დამატება	369	-	-	-	44	51	464
შემცირება	(334)	-	(303)	-	(19)	(18)	(674)
31 დეკემბერი 2020	**9,483**	**65**	**1,812**	**152**	**412**	**1,394**	**13,318**
დამატება	149	18,529	207	-	298	118	19,301
შემცირება	(201)	-	(583)	-	-	(5)	(789)
31 დეკემბერი 2021	**9,431**	**18,594**	**1,436**	**152**	**710**	**1,508**	**31,830**
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2019	**-**	**-**	**(824)**	**(132)**	**(204)**	**(1,034)**	**(2,194)**
ცვეთა	-	-	(101)	(10)	(64)	(172)	(347)
ჩამოწერა	-	-	24	-	4	12	40
31 დეკემბერი 2020	**-**	**-**	**(901)**	**(142)**	**(264)**	**(1,194)**	**(2,501)**
ცვეთა	-	-	(84)	(3)	(79)	(85)	(251)
ჩამოწერა	-	-	170	-	-	2	172
31 დეკემბერი 2021	**-**	**-**	**(815)**	**(145)**	**(343)**	**(1,277)**	**(2,580)**
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2019	**9,448**	**65**	**1,291**	**20**	**183**	**327**	**11,334**
31 დეკემბერი 2020	**9,483**	**65**	**911**	**10**	**148**	**200**	**10,817**
31 დეკემბერი 2021	**9,431**	**18,594**	**621**	**7**	**367**	**231**	**29,251**

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე არ ფიქსირდება მოხმარებაში არსებული სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები

11. მარაგები

მარაგები	31.12.2021	31.12.2020
საქონელი	25,473	26,116
დაუმთავრებელი წარმოება	354	11,023
სხვა მარაგები	540	1,726
სულ	**26,367**	**38,865**
გაუფასურების რეზერვი	(113)	(1,675)
სულ	**26,253**	**37,190**

12. გაცემული სესხები

სესხის მიმღები	ვადიანობა	პროცენტი	ვალუტა	2021	2020
ECO TILES IMPORTS LLC	30.11.2022	12%	USD	4,699	5,920
შპს კომპანია ჯაოკენი ბილდინგ	30.11.2023	7.5%	USD	1,184	-
სულ				**5,883**	**5,920**

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	1,869	552
გაუფასურების რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე	(132)	(193)
ჯამი	**1,737**	**359**
ავანსები	705	864
ჯამი	**2,443**	**1,223**

სავაჭრო მოთხოვნის ამოღების ხარისის დადგენისას, ჯგუფი მხედველობაში იღებს სავაჭრო მოთხოვნის საკრედიტო ხარისხის ცვლილებას კრედიტის თავდაპირველად მინიჭების დღიდან საანგარიშო პერიოდის ბოლომდე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია დაბალია, რადგან კლიენტების ბაზა დიდია და არაერთგვაროვანი.

აღიარებული გაუფასურება წარმოადგენს სხვაობას ამ სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ლიკვიდური შემოსავლების მიმდინარე ღირებულებას შორის. აღნიშნულ ნაშთებზე ჯგუფი უზრუნველყოფას არ ფლობს.

გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ვადიანობის მიხედვით:

ხანდაზმულობა 2021	ვადაგადაცილების გარეშე	0-30	30-60	61-90	90-ზე მეტი
სულ მოთხოვნები	2,289	140	48	79	18
რეზერვის პროცენტი	2%	10%	30%	50%	100%
რეზერვის თანხა	**46**	**14**	**14**	**40**	**18**

ხანდაზმულობა 2020	ვადაგადაცილების გარეშე	0-30	30-60	61-90	90-ზე მეტი
სულ მოთხოვნები	815	417	77	1	106
რეზერვის პროცენტი	2%	10%	30%	50%	100%
რეზერვის თანხა	**22**	**42**	**23**	**0**	**106**

14. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული სალაროში	726	110
ფული ბანკში	2,474	425
ჯამი	**3,200**	**535**

15. კაპიტალი

2021-წლის განმავლობაში ჯგუფის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 195 ათასი ლარით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის შეადგინა 198 ათასი ლარი.

დივიდენდები

ჯგუფის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფის მიერ დამფუძნებლებზე გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 3,482 ათას და 2,923 ათასი ლარი, შესაბამისად.

16. მიღებული სესხები

მიღებული სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31.12.2021	31.12.2020
საქართველოს ბანკი სესხი #3	ეურო	ლიბორ+6.5%	თებ-2025	11,212	12,238
საქართველოს ბანკი სესხი #5	ეურო	ლიბორ+6.0%	ოქტ-2029	4,555	4,067
საქართველოს ბანკი სესხი #6	ეურო	ლიბორ+6.5%	დეკ-2022	252	-
საქართველოს ბანკი სესხი #7	ეურო	ლიბორ+6.5%	დეკ-2022	46	-
საქართველოს ბანკი სესხი #1	ეურო	ლიბორ+7.6%	თებ-2024	-	4,174
სულ				**16,065**	**20,479**

მიღებული სესხების ვადიანობა	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი ნაწილი	2,590	2,922
გრძელვადიანი ნაწილი	13,475	17,557
სულ	**16,065**	**20,479**

ნასესხები სახსრები უზრუნველყოფილია ჯგუფის მარაგებით (შენიშვნა #11).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები.

	31 დეკემბერი 2020	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2021
აღებული სესხები	20,479	(7,190)	2,776	16,065

	31 დეკემბერი 2019	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2020
აღებული სესხები	13,213	2,954	(4,291)	20,479

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	4,242	2,722
მიღებული ავანსები	686	332
სულ	**4,928**	**3,054**

საქონლის შესყიდვაზე საშუალო საკრედიტო პერიოდია 1-3 თვე.

18. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში ჯგუფი იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად, წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულა.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულმა მუხლებმა შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და შესწორებები. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოების განმარტებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფზე დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შეასრულეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა კონსოლიდრებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

ჯგუფი მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომუკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. Covid-19-ით გამოწვეულმა გლობალურმა ეკონომიკური კრიზისმა, კონკრეტულად კი, ეკონომიკური აქტივობისა და ინვესტიციების შემცირებამ გამოიწვია რისკის პრემიის გაზრდა. ამასთან, პანდემიის გავრცელებასთან და ხანგძლივობასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ კიდევ უფრო გაზარდა ფინანსურ სტაბილურობის რისკები. ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს ჯგუფის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს ჯგუფის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე, უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკვშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

	31.12.2021		31.12.2020	
	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კატეგორიის მიხედვით	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კატეგორიის მიხედვით
გაცემული სესხები				
- სხვა მეკავშირე მხარეები	5,883	5,883	5,920	5,920
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები				
- სხვა მეკავშირე მხარეები	-	2,758	-	1,223

	31.12.2021		31.12.2020	
	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კატეგორიის მიხედვით	ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კატეგორიის მიხედვით
ადმინისტრაციული ხარჯები				
- სხვა მეკავშირე მხარეები	6	2,121	10	1,553
საპროცენტო შემოსავლები				
- სხვა მეკავშირე მხარეები	529	529	516	516

დირექტორებისა და უმაღლესი ხელმძღვანელობის სხვა წევრების ანაზღაურება 2021 და 2020 წლის განმავლობაში იყო 285 და 218 ათასი ლარი, შესაბამისად.

19. რეალური ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის აზრით, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული, მათი მოკლევადიანი პირობებიდან გამომდინარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რეალური ღირებულების შეფასები მესამე დონის შეფასების კატეგორიას მიეკუთვნება.

მესამე დონის კატეგორიებში შესული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები დგინდება საყოველთაოდ აღიარებული ფასწარმოქმნის მოდელებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ძირითად მონაცემებად კონტრაგენტების საკრედიტო რისკის ამსახველი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

20. ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა

ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, დამფუძნებელთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. 2021 და 2020 წლების განმვალობაში ჯგუფი დაფინანსებულია კაპიტალითა და სესხებით.

საბაზრო რისკი

ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე, მას ძირითადად ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების რისკი ეკისრება. ჯგუფი ამ რისკის სამართავად მონიტორინგს უკეთებს უცხოურ ვალუტაში საბალანსო პოზიციას.

ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

31.12.2021	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფულადი და საბანკო ნაშთები	780	49	2,411	3,200
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,441	2	-	2,443
გაცემული სესხები	-	5,883	-	5,883
სულ ფინანსური აქტივები	**3,180**	**5,933**	**2,411**	**11,525**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	2,569	683	1,676	4,928
მიღებული სესხები	-	-	16,065	16,065
სულ ფინანსური ვალდებულებები	**2,569**	**683**	**17,741**	**20,993**
სულ წმინდა პოზიცია	**612**	**5,250**	**(15,329)**	**(9,468)**
31.12.2020	**ლარი**	**აშშ დოლარი**	**ევრო**	**სულ**
ფინანსური აქტივები				
ფულადი და საბანკო ნაშთები	255	4	276	**535**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,221	2	-	**1,223**
გაცემული სესხები	-	5,920	-	**5,920**
სულ ფინანსური აქტივები	**1,476**	**5,926**	**276**	**7,678**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	945	16	2,093	**3,054**
მიღებული სესხები	-	-	20,479	**20,479**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**945**	**16**	**22,572**	**23,533**
სულ წმინდა პოზიცია	**531**	**5,910**	**(22,296)**	**(15,855)**

ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-იანი გამყარების/(შესუსტების) დროს 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 1,533 ათას და 2,230 ათას ლარს ევროს შემთხვევაში, შესაბამისად და 525 ათას ლარს და 591 ათას ლარს დოლარის შემთხვევაში, შესაბამისად.

საკრედიტო რისკის მართვა

ჯგუფს ეკისრება საკრედიტო რისკი, რომელიც არის იმის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად მოთხოვნის დაფარვას ვადის დადგომისას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. ჯგუფში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ საქონელი მიეწოდოს ისეთ კლიენტებს, რომელთაც სათანადო საკრედიტო ისტორია გააჩნიათ. სხვა შემთხვევაში, შემოდის გადახდის ალტერნატიული პროცედურები (მაგალითად, წინასწარ გადახდის). სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორებიც მოქმედებს, ხელმძღვანელობის აზრით, ჯგუფს ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე, ზოგად საბაზრო ეკონომიკის რისკებზე.

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინასურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად ჯგუფი ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ქვემოთ მოცემულია ლიკვიდობისრისკის ანალიზი:

ა) ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი ვადა, რომელიც გამოანგარიშებულია ფინანსურ ვალდებულებებზე არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით უახლოესი თარიღისათვის, როდესაც ჯგუფის ვალდებულების დაფარვა მოეთხოვება;

ბ) ფინანსური აქტივების შეფასებული დარჩენილი ვადა, რომელიც გამოანგარიშებულია ფინანსურ აქტივებზე არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით უახლოესი თარიღისათვის, რომლებიც ჯგუფმა უნდა მიიღოს ამ აქტივებზე ვადიანობის საკონტრაქტო პირობების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფის აზრით, ფულადი ნაკადების შემოდინება სხვა დროს მოხდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საპროცენტო განაკვეთისა და ლიკვიდობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასების მიხედვით. ინფორმაცია ეფუძნება ჯგუფის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ შიდა ანგარიშებით მიღებულ მონაცემებს.

ფინანსური აქტივები	**1 თვემდე**	**1-3 თვე**	**3 თვე-1 წელი**	**1-5 წელი**	**5 წელზე მეტი**	**31.12.2021**
ფული და ფულის ექვივალენტები	3,199	-	-	-	-	3,199
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,443	-	-	-	-	2,443
გაცემული სესხები	479	1,421	3,623	360	-	5,883
სულ ფინანსური აქტივები	**6,121**	**1,421**	**3,623**	**360**	**-**	**11,525**
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,928	-	-	-	-	4,928
მიღებული სესხები	225	667	1,698	13,475	-	16,065
სულ ფინანსური ვალდებულებები	**5,153**	**667**	**1,698**	**13,475**	**-**	**20,993**
ლიკვიდობის დეფიციტი	**967**	**754**	**1,925**	**(13,114)**	**-**	**(9,468)**
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	**967**	**1,721**	**3,646**	**(9,468)**	**(9,468)**	

ფინანსური აქტივები	**1 თვემდე**	**1-3 თვე**	**3 თვე-1 წელი**	**1-5 წელი**	**5 წელზე მეტი**	**31.12.2020**
ფული და ფულის ექვივალენტები	535	-	-	-	-	**535**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	552	-	-	-	-	**552**
გაცემული სესხები	1,081	-	-	4,839	-	**5,920**
სულ ფინანსური აქტივები	**2,168**	**-**	**-**	**4,839**	**-**	**7,007**
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,722	-	-	-	-	**2,722**
მიღებული სესხები	535	1,071	4,817	14,056	-	**20,479**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**3,257**	**1,071**	**4,817**	**14,056**	**-**	**23,201**
ლიკვიდობის დეფიციტი	**(1,089)**	**(1,071)**	**(4,817)**	**(9,217)**	**-**	**(16,194)**
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	**(1,089)**	**(2,160)**	**(6,977)**	**(16,194)**	**(16,194)**	

21. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.

მმართველობის ანგარიში

1. **საქმიანობის განვითარება , შედეგები და მდგომარეობა:**

შპს „კომპანია ჯაოკენი“ დაარსდა 1997 წელს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალებით, ასევე, სანტექნიკური მოწყობილობებით და აქსესუარებით ვაჭრობა. მიუხედავად არაერთი გამოწვევისა, კომპანია დაარსების დღიდან დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს და მუდმივად განვითარების პროცესშია. კომპანიას ქვეყნის ყველაზე დიდ რეგიონებში აქვს ფილიალები და თითქმის მოიცვა მთელი ბაზარი. მან საკუთარი სწორი მმართველობით და საქმიანი რეპუტაციით შეძლო მსოფლიოში ცნობილ ბრენდებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება და დღეს შპს კომპანია ჯაოკენი თანამშრომლობს 200 ზე მეტ უცხოელ მომწოდებელთან (ჩინეთი, თურქეთი, უკრაინა, გერმანია, იტალია ესპანეთი). მრავალრიცხოვანი კმაყოფილი მომხმარებელი და ბაზარზე ლიდერული პოზიცია კი დასტურია იმისა, რომ კომპანია დაარსების დღიდან განვითარების სწორ გზას გადის.
2018 წლის ნოემბერში კომპანიამ შეისყიდა შპს გ.ს.გ დიზაინის 75 % იანი წილი. აღნიშნული კომპანიის საქმიანობასაც სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალებით ვაჭრობა წარმოადგენს.

2. **სუბიექტის განვითარების გეგმები.**

კომპანია ახორციელებს საბაზრო მოთხოვნების შესწავლას, რომელიც განაპირობებს ყოველწლიური მიდგომების ცვლილებას, გაყიდვების პროცესის დახვეწას და მომხმარებლებისთვის ხარისხიანი პროდუქციის/ მომსახურების შეთავაზებას.
გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული ფართები არ იყო საკმარისი იმ მასშტაბის შოურუმების მოსაწყობად, რომელსაც კომპანიის ასორტიმენტი მოითხოვს, 2020 წელს დაგეგმა ახალი შოურუმების მშენებლობა ქალაქ ბათუმსა და თბილისში. თბილისში და ბათუმში სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2022 წლის პირველ ნახევარში.

3. **სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა:**

2021 წლის განმავლობაში კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევისა და განვითარების აქტივობაში.

4. **ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ:**

შპს კომპანია ჯაოკენს 2021 წლის მდგომარეობით აქვს შემდეგ რეგიონებში ფილიალები:

- აჭარა, ბათუმი, პუშკინის ქ. 51
- სამეგრელო-ზემო სვანეთი, სენაკის რაიონი, ჭყონდიდელის ქ.10
- იმერეთი, ქუთაისი, ნიკეას ქ. 42
- კახეთი, თელავის რაიონი, თელავი, დავითაშვილის ქ. 4 თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თორნიკე ერისთავის ქ. 1
- თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი 112

5. კომპანიის ძირითად ფინანსურ და არაფინანსური მაჩვენებლები:

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

ერთეული - ლარი (დამრგვალებული 1000-მდე)	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი	35,142	29,465
მთლიანი მოგება	12,538	10,356
მთლიანი მოგება (%)	**35%**	**35%**

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე, კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს. კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

დამრგვალებულია 1000-მდე	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფულადი და ფულის ექვივალენტები	3,190	518
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,758	1,523
გაცემული სესხები	5,883	5,920
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	4,840	2,991
მიღებული სესხები	16,065	20,479

საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

გეოგრაფიული რისკი. კომპანიის აქტივები მდებარეობს საქართველოში. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს პროდუქციის შესყიდვას უცხოურ ვალუტებში. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და გენერირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის, რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება კრედიტორული დავალიანებები რომლებიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი და დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

6. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია;

2021 წელს ადგილი არ ჰქონია კომპანიის მიერ აქციების შეძენას.

ჯემალ ჯაოშვილი _____
დირექტორი

9-30 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადისაწარმოს პრინციპის აღრიცხვის წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის განუსაზღვრელობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარიგააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „ალგი აუდიტის” სახელით

კახაბერ თეთრუაშვილი

2022 წლის 21 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

კომპანია ჯაოკენი ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს „კომპანია ჯაოკენის" და მისი შვილობილების (შემდგომში „ჯგუფი") ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2022 წლის 21 ოქტომბერს.

დირექტორი, ჯემალ ჯაოშვილი _____

2022 წლის 21 ოქტომბერი, საქართველო, თბილისი

კომპანია ჯაოკენი ჯგუფი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ათას ლარში

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	5	35,675	30,246
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(22,822)	(19,610)
მთლიანი შემოსავალი		**12,854**	**10,636**
მიწოდების ხარჯები	6	(4,888)	(3,697)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,121)	(1,553)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან	8	1,734	(4,365)
საპროცენტო შემოსავალი		529	516
საპროცენტო ხარჯი		(1,085)	(888)
სხვა ხარჯი, წმინდა	9	9,529	5,854
მოგება მოგების გადასახადებამდე		**16,551**	**6,503**
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		**16,551**	**6,503**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		**16,551**	**6,503**
შემოსავალი განკუთვნილი მესაკუთრისთვის		**16,550**	**6,508**
შემოსავალი არამაკონტროლებელი წილის მესაკუთრისთვის		**1**	**(5)**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 21 ოქტომბერს

ჯემალ ჯაოშვილი
დირექტორი

კომპანია ჯაოკენი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარში

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	29,251	10,817
არამატერიალური აქტივები		15	16
სულ გრძელვადიანი აქტივები		**29,266**	**10,833**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	26,253	37,190
გაცემული სესხები	12	5,883	5,920
საგადასახადო აქტივები		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,443	1,223
ფული და ფულის ექვივალენტები	14	3,200	535
სულ მიმდინარე აქტივები		**37,778**	**44,868**
სულ აქტივები		**67,045**	**55,701**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	198	3
გაუნაწილებელი მოგება		44,913	31,832
არამაკონტროლებელი წილი		(40)	(29)
სულ კაპიტალი		**45,071**	**31,806**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	16	13,475	17,557
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**13,475**	**17,557**
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	16	2,590	2,922
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	4,928	3,054
საგადასახადო ვალდებულებები		981	362
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**8,499**	**6,338**
სულ ვალდებულებები		**21,973**	**23,895**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**67,045**	**55,701**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 21 ოქტომბერს

ჯემალ ჯაოშვილი
დირექტორი

კომპანია ჯაოკენი ჯგუფი

კონსოლიდირებული კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარში

	საწესდებო კაპირალი	მფლობელებისთვის განკუთვნილი კაპიტალი	არამაკონტრო-ლირებელი წილი	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2020	**3**	**28,229**	**(6)**	**28,226**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	6,508	(5)	6,503
გამოცხადებული დივიდენდი	-	(2,905)	(18)	(2,923)
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	**3**	**31,832**	**(29)**	**31,806**
საწესდებო კაპიტალის ზრდა	195	-	-	195
სულ წლის სრული შემოსავალი	-	16,550	1	16,551
გამოცხადებული დივიდენდი	-	(3,469)	(13)	(3,482)
ბალანსი 31 დეკემბერ 2021	**198**	**44,913**	**(41)**	**45,071**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 21 ოქტომბერს

ჯემალ ჯაოშვილი
დირექტორი

კომპანია ჯაოკენი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერსდასრულებულიწლისათვის
ათას ლარში

	შენიშვნა	2021	2020
მოგება მოგების გადასახადამდე		**16,551**	**6,503**
კორექტირებები:			
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი		62	45
მარაგების გაუფასურების რეზერვის ხარჯი		(1,562)	162
ცვეთა და ამორტიზაცია		292	597
მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		-	(5,997)
საპროცენტო ხარჯი		1,085	888
საპროცენტო შემოსავალი		(529)	(517)
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	8	(1,734)	4,365
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		**14,165**	**6,046**
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)		(1,429)	(147)
მარაგების ზრდა		12,498	(10,108)
საგადასახადო აქტივების ზრდა		619	906
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		2,042	(1,838)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		**27,895**	**(5,141)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების ზრდა/(შემცირება)		(18,725)	6,167
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(18,725)**	**6,167**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა		-	(298)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა		-	(18)
მიღებული სესხები		4,386	16,370
გადახდილი სესხები		(6,024)	(13,415)
გადახდილი პროცენტი		(1,085)	(851)
მიღებული პროცენტი		734	350
გადახდილი დივიდენდი		(3,482)	(2,923)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		**(5,471)**	**(785)**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		2,711	241
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	535	338
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ნაღდი ფულის ნაშთზე		(46)	(44)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**3,200**	**535**

ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია გამოსაქვეყნებლად 2022 წლის 21 ოქტომბერს

ჯემალ ჯაოშვილი
დირექტორი